ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N47

სხდომის ჩატარების დრო:
25 ივნისი, 2024 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაია სიმონიძე, მაგდა კოსტავა, ზაქრო მამასახლისი, ჯემალ ბიბილეიშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე, გიორგი კილაძე.

სულ: 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: თეიმურაზ ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მამუკა კუბლაშვილი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ელეონორა არჩაია,** ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

TV24-ის ჟურნალისტი **ანა ჭეიშვილი.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის

წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ;

2.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი-მედეასთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

6.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

7.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

8.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯა-2"-ისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

9.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო

საზოგადოება „სილქნეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

10.ქალაქ ქუთაისში, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის N39ა-ს სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

11.ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის N96-სა (ნაკვეთებიN1, N2, N2-1-1-1-1, N2-1-2, N2-2, N3, N4, N4-1, N4-2) და ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის N96-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „წარმოდგენილია დადგენილების პროექტი, საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ და აქედან გამომდინარე ჩვენი დადგენილებაც უნდა მოვიდეს შესაბამისობაში, ყველაზე მთავარი ცვლილება, რაც უშუალოდ ეხება ქუთაისს არის ის, რომ თითოეულ სათამაშო აპარატზე კვარტალში განსაზღვული იყო 2100 ლარი, ეს უცვლელად დარჩა და

დამატებით სათამაშო ბიზნესების მფლობელებს განესაზღვრათ კვარტალში 250 000 ლარის გადახდა დამატებით, სათამაშო აპარატების რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობა."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „როგორც ვიცი ამ სათამაშო ბიზნესის ლიცენზია ღირს 1 მილიონი ლარი, აჭარა და წყალტუბოს ტერიტორიაა მხოლოდ გათავისუფლებული გადასახადებისგან თუ სწორი ინფორმაცია მაქვს და ეს მილიონი კიდევ დაემატება და შემოვა ბიუჯეტში?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „ჩვენი ქალაქის ბიუჯეტში შემოდის მხოლოდ ჩვენი დადგენილებით განსაზღვრული თანხა."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „კანონში შევიდა ცვლილება ჩვენც ავუწყვეთ ფეხი, ამ ცვლილებით ქალაქის ბიუჯეტში ყოველი წლის ბოლოს შემოვა ორ მილიონ ლარამდე, რადგან ორი ობიექტია ასეთი ქალაქში."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა **გიორგი კილაძემ**) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „წარმოდგენილია განკარგულების პროექტი, ნუსხას ემატება ექვსი ობიექტი, ახლად დარეგისტრირებული მიწები, რომელიც მდებარეობს თაბუკაშვილის ქუჩაზე, სულხან-საბას გამზირზე, ახალგაზრდობის გამზირზე, გურამიშვილის ქუჩაზე, სულხან-საბას გამზირზე და პეტრიწის ქუჩის მეორე შესახვევში."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა **გიორგი კილაძემ**) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა გიორგი კილაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა თინათინ ბერიშვილმა.

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „მიქელაძე-მეველეს ქუჩა N15-ში არსებული საბავშვო ბაღის -გადაცემა ხდება ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის, შეცდომით სახელმწიფო საკუთრებაში იყო რეგისტრირებული ეს ბაღი, შემდეგ გადმოგვცა სახელმწიფომ და ჩვენ თავის მხრივ გადავცემთ ააიპ-ს თქვენი თანხმობით."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა **გიორგი კილაძემ**) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი-მედეასთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის გადაცემა ხდება ბოტანიკური ბაღი-მედიასთვის უზურფრუქტის ფორმით, აქამდე გადაცემული იყო კულტურის ააიპ-ისათვის, ახლა როგორც ვიცით ბოტანიკური ბაღი გამოეყო და ჩამოყალიბდა ახალ ა(ა)იპ-ად და ხდება ამ უკანასკნელისთვის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის სარგებლობაში გადაცემა."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა **გიორგი კილაძემ**) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ზოტანიკური ბაღი-მედეასთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „მუნიციპალურ ინპექციას გადაეცემა ხუთი ერთეული ავტომობილი, რომლებითაც ისინი ახორციელებენ სამსახურებრივ საქმიანობას, ეს ავტომობილები აქამდე იმყოფებოდა მერიის ბალანსზე და ახლა გადაეცემათ მათ."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა **გიორგი კილაძემ**) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო

სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მომრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „ააიპ სპეციალური სერვისებისათვის ხორციელდება ორი ერთეული ნაგავმზიდის სარგებლობაში გადაცემა, რაც კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში იქნა შეძენილი."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „სამწუხაროდ ამ ეტაპისთვის მხოლოდ ორი ერთეულის შეძენა მოხერხდა, დამეთანხმებით სპეცსერვისებში ავტოპარკის განახლებაა საჭირო."

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „ადრეც ბევრჯერ გვქონდა საუბარი ამ თემაზე, იქნებ მანქანები შეგვეცვალა ისეთ ქუჩებზე, სადაც დიდი გაბარიტების მანქანები საცობებს ქმნიან და გაუსაძლისი მდგომარეობა იქმნება, კერძოდ, მესამე და მეორე სკოლებთან არის ხოლმე მსგავსი სიტუაციები, ფაქტიურად სხვა მანქანებს გავლის საშუალება არ აქვთ."

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „ამ ეტაპზე ქალაქს არ აქვს საშუალება მცირეგაბარიტიანი ახალი ნაგავმზიდები შეიძინოს."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ

ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა **გიორგი კილაძემ**) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მერვე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კა-2"-ისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საკითხი შეეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება K2-ისთვის, ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N1-ში ბენზოგასამართი სადგურის სამხრეთით მდებარე გაზონის ნაწილის, 469 კვ.მეტრიდან 150 კვ.მეტრის, 49 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თემას, გადაცემის შემთხვევაში ეს ტერიტორია გამოყენებული უნდა იქნას მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის მოსაწყობად."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა **განმარტებები:**

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ანუ ამ 150 კვ.მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთზე არაფერი არ აშენდება ხო?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „არა

რათქმაუნდა, მხოლოდ მისასვლელ გზად იქნება გამოყენებული."

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „შეკითხვა მაქვს ტრადიციულად ერთი, რატომ პირდაპირი წესით და რატომ არ გაგვაქვს აუქციონზე?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „იმიტომ რომ მკაცრად არის განსაზღვრული პირობით, რომ მხოლოდ და მხოლოდ მისასვლელ გზად უნდა იქნეს გამოყენებული აღნიშნული ტერიტორია."

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „49 წელი საკმაოდ დიდი დროა და თანხის ცვლილება თუ არის განსაზღვრული ამ დროის მანძილზე?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „5 წლის შემდეგ თანხები გადაიხედება რათქმაუნდა."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა **გიორგი კილაძემ**) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კა-2"-ისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეცხრე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „სილქნეტს გადავცემთ 44 ერთეულ გარე განათების კონსტრუქციას იჯარის ფორმით, ქსელის მოსაწყობად."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა **გიორგი კილაძემ**) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეათე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისში, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის N39ა-ს სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.კუბლაშვილმა** აქვე განმარტა: „მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ტაბიძის ქუჩა N39ა-ში (ყოფილი ციხის ტერიტორია)არსებულ ტერიტორიას, რომელიც რამდენიმე ხნის წინ შეიძინეს და ახლა შპს-ს სახელზეა რეგისტრირებული, თქვენი თანხმობით ქალაქის მერმა

გაუფორმა ხელშეკრულება გენ გეგმის ინიცირებაზე და უკვე ინიცირების დოკუმენტი აქვთ წარმოდგენილი, დოკუმეტი მოიცავს 9200 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთის საპროექტო დამუშავებას, ასევე გენ გეგმის კონცეფციის სარეკომენდაციო ნაწილში ეს ტერიტორია მიეკუთვნება საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას, სადაც K2 კოეფიციენტი=1,8, K1=0,5, ხოლო K3=0,3, აღნიშნული წინადადებით მოგვმართა მენაშენემ, რომ K2 მაჩვენებელი გაიზარდოს 3-მდე, თუ ამას გადავიყვანთ კოეფიციენტებში გამოდის რომ 11 000 კვადრატული მეტრის ყიდვას აპირებს. სამშენებლო კოდექსი ითვალისწინებს K2 კოეფიციენტის ყიდვას, როდესაც საკონპენსაციო ღონისძიება არის მომატებული, თვითღირებულების 4%-ს გადაიხდის ბიუჯეტში თუ თქვენი თანხმობაც იქნება აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგახსენებთ, რომ ყველაზე მაღალსართულიანი შენობა განისაზღვრება 6 სართულით, სიმაღლით 20 მეტრამდე. ამაზე თავიდანვე გვქონდა ჩვენ ნამსჯელი, რომ მეტ სიმაღლეზე შენობები არ წავიდოდა ახლა სართულებს არ ყიდულობს, არამედ ინტენსივობას."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „ეს ტერიტორია დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას არ მიეკუთვნება?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „არა, 1,8 კოეფიციენტი საშუალო ინტენსივობის არის და საშუალებას იძლევა 4 სართულამდე შენობები ააშენოს, გააჩნია როგორ აითვისებს K1 კოეფიციენტს, თუ ნაკლებად აითვისა მაშინ წავა სართულებში რათქმაუნდა."

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „ხომ არ გამოდის ისე, რომ ისტორიულ ქალაქ მუზეუმის ტერიტორიაზე ჩვენი ეს ერთი პრეცენდენტი მაღალი ინტენსოვობის განაშენიანებას ხომ არ ჩაუყრის საფუძველს?"

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ამას უნდა დავაკვირდეთ, გენ გეგმის ის კონცეფცია, რაც ამ ეტაპზე გვაქვს, იქ არის მითითებული, რომ ამ არეალზე შეიძლება გდგ დამუშავდეს, რაც თავის მხრივ ნიშნავ იმას, რომ მოცემული კოეფიციენტები შესაძლოა გადახედილ იქნეს, ანუ თუ გავყვებით გენგეგმას, გვაძლევს ამ ყველაფრის საშუალებას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ჩვენ გვაქვს დასკვნა, სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოდან, სადაც ბუნებრივია არ განვიცდით კომპეტენციის ნაკლებობას და ეს დასკვნაც გვკარნახობს ანალოგიურს, შეიძლება დამუშავდეს მოთხოვნილი კოეფიციენტები."

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „არ მინდა ჩემი სიტყვა გაგებულ და აღქმულ იქნეს, ვითომ ინვესტიციების და მშენებლობის წინააღმდეგი ვარ, მე ვგულისხმობ იმას, თუ რამდენად მისაღები იქნება ქალაქის ტერიტორიის განვითარებისთვის ზემოაღნიშნული და

ხომ არ გიწევთ საფუძვლის ჩაყრა, ქალაქის ტერიტორიაზე მაღალსართულიანი კორპუსების მასიურ მშენებლობაზე."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე**: „6 სართული მე თუ მკითხავთ საშუალოზე დაბალი ინტენსივობისაა, ქალაქის განვითარებისათვის ვფიქრობ, საჭიროა მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობა, სხვაგვარად ცოტა ხანში სოფელს შეიძლება დაემსგავსოს დაბალ-დაბალი სახლებით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი**: „კოეფიციენტებით თუ ვიმსჯელებთ, რეალურად 6-სართულიანი კორპუსი საცხოვრებლისთვის არის მაღალი ინტენსივობის ანუ მენაშენეს სურს საშუალო ინტენსივობიდან გადავიდეს მაღალ ინტენსივობაზე და ამაშია სხვაობა."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი**: „ახლანდელი უსახური შენობის ადგილზე თუ იქნება თუნდაც 6 სართულიანი კომპლექსური და კეთილმოწყობილი შენობები, მივესალმები ნამდვილად, როდესაც ეს შენობა აუქციონის წესით გაიყიდა იქ როგორც ვიცი იყო ჩანაწერი რომ რა იქნებოდა ამ ტერიტორიის შესაძლო განვითარება და საუბარი იყო სასტუმროს კომპლექსზე, პრინციპში ახლა საცხოვრებელი ტიპის კომპლექსზეა საუბარი თავის სავაჭრო ობიექტებით და ლამაზ, კეთილმოწყობილ კვარტალს მივიღებთ."

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი**: „იქ რომ იყოს სახლები და მსგავსი შენობები შეიძლება თავის შეკავება, მაგრამ იმ უსახური ყოფილი ციხის შენობის მაგივრად თუნდაც მრავალსართულიანი, თუმცა 6 სართული არც ისეთი მაღალია, საცხოვრებელი კომპლექსის წინააღმდეგი ნამდვილად ვერ ვიქნები."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი**: „კომპლექსი შერეული სართულებისგან იქნება მოწყობილი, ზოგი მათგანი 4 სართულიანი, ზოგი კი 5-იანიც იქნება, 6 სართულის სიმაღლე იქნება მაქსიმალური."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, წინააღმდეგი-**გიორგი კილაძე**) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის N39ა-ს სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეათე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხის- „ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის N96-სა (ნაკვეთებიN1, N2, N2-1-1-1-1, N2-1-2, N2-2, N3, N4, N4-1, N4-2) და ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის N96-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.კუბლაშვილმა** აქვე განმარტა: „ასათიანის ქუჩის N96-ში და მის მიმდებარედ 16 მიწის ნაკვეთია საკვლევი და გდგ-თი დასამუშავებელი ტერიტორია, სულ არის 79 500 კვ.მეტრის ფართობის, როდესაც ეს მიწის ნაკვეთები გაიყიდა მაშინაც საცხოვრებელ ზონად მოიაზრებოდა და ამ პირობით აქვთ შეძენილიც, აქ მოიაზრება საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა K2=1,8, საშუალო ინტენსივობას რომ ვამბობთ, თუ წინა საკითხის შემთხვევაში განაშენიანება იგივე K1 0,5 -ით იყო განსაზღვრული, ამ შემთხვევაში უფრო ნაკლებია რაც აძლევს მენაშენეს იმის უფლებას რომ სართულიანობა გაზარდოს და ავიდეს 10-11 სართულამდე, თუმცა ყველა კორპუსი არა, მხოლოდ რამდენიმეზეა საუბარი, მენაშენე ცარიელ მიწის ნაკვეთს უფრო მეტს იტოვებს, K1-ს ითვისებს ნაკლებს, რაც აძლევს საშუალებას სართულები გაზარდოს მაგრამ ვიმეორებ მეტი ადგილი რჩება გამწვანებისა თუ ბავშვთა გასართობი ლოკაციების (ატრაქციონები, სპორტული მოედნები და ა.შ.) მოსაწყობად, მოგეხსენებათ ეს ტერიტორია წარმოადგენს ყოფილ საკონსერვოს ტერიტორიას, იქ არეალების შეზღუდვა როგორც არის დაგეგმარებული ქუჩის განაშენიანება, ქუჩისპირა არ იზღუდება, შეწეულია ეს ტერიტორია გზიდან, ქალაქმა დააგეგმარა შიდა მისასვლელი გზები, რომელიც გადის სოხუმის, ასათიანის, ჭავჭავაძის ქუჩებზე. საკომპენსაციო ღონისძიებები ამას არ სჭირდება, ვინაიდან რასაც ითვალისწინებს ქალაქთმშენებლობითი გეგმა იმ ფარგლებში ჯდება 1,8 კოეფიციენტში, აქ არ ხდება K2 კოეფიციენტის მატება და რაც არის წარმოდგენილი ის რჩება."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე**: „რას ნიშნავს კოეფიციენტის გაზრდა, ყიდვა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „კოეფიციენტის გაზრდა არის მომატებული ფართის თვითღირებულების 4%, რომელიც შედის ადგილობრივ ბიუჯეტში."

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „თქვენ ახსენეთ საკომპენსაციო ღონისძიებები არ არის საჭირო, რადგან კოეფიციენტი არ იზრდება, თუმცა განმარტებით ბარათში საწინააღმდეგოს ვკითხულობთ, კოეფიციენტის გაზრდა 2,5-დან 4-მდე, თუ ამას ვუზრდით ამ შემთხვევაში საკონპენსაციო ღონისძიებები ხომ საჭიროა? საკმაოდ სოლიდურ თანხაზეა საუბარი, რომელიც შემოვა ქალაქის ბიუჯეტში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „თუ კოეფიციენტი გაიზრდება რათქმაუნდა ეს ღონისძიებებიც იქნება საჭირო."

კომისიის წევრი, ქალბატონი მაია სიმონიძე: „მე ვიცოდი რომ 3,5 კოეფიციენტზე იყო შეთანხმება ამ ტერიტორიაზე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „3,5 ვერ იქნება, ადრე რაც არის შეთანხმებული 2,5-ია პირველი კორპუსი რომ მთავრდება, კიდევ გავიმეორებ თუ მოიმატებს კოეფიციენტი, საკომპენსაციო ღონისძიებებიც გასატარებელი იქნება, ამის გარდა შესაძლოა თვითმმართველობამ მოითხოვოს აღნიშნული ღონისძიება თქვენთან შეთანხმებით, ვინაიდან ეგ დიდი კომპლექსია, ამ წუთში საუბარია 79 500 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთის გდგ-ს დამუშავებაზე, შეთანხმებით შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს საბავშვო ბაღის მშენებლობაც მენაშენესათვის, რადგან ქალაქგეგმარებითი პარამეტრებიდან გამომდინარე ამხელა ფართობზე სავალდებულოა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების არსებობა."

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ანუ თქვენ ამბობთ, რომ პირობაში ჩავუდოთ საბავშვო ბაღის მშენებლობის მოთხოვნა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „არ იქნებოდა ურიგო ან იმავე ტერიტორიაზე მოაწყონ ან შეარჩიოს ქალაქმა მომიჯნავედ ახლოში ალტერნატიული ტერიტორია, სადაც აშენდება ბაღის შენობა, რადგან ამხელა დასახლებული ტერიტორიისათვის სკოლისაც თუ არა, საბავშვო ბაღის ქონა სავალდებულოა კანონით. ამ კუთხით ღონისძიებების ჩატარება შესაძლოა მოვითხოვოთ."

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „თქვენს მიერ ხსენებული პირობების შეტანა ამ ეტაპის შემდეგ იქნება შესაძლებელი აღნიშნულ დოკუმენტში?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „ახლაც შეიძლება ნებისმიერი პირობის ჩადება, მოსაფიქრებელი და ჩამოსაყალიბებელი იქნება, ეს არის კოცეფცია და ვუთხრათ, რომ მერე როცა შემდეგ ეტაპად მზა პროდუქტს წარმოგვიდგენს მასში ცვლილებას ვერ შევიტანთ. ინფორმაციის დონეზე მინდა გაგაცნოთ, რომ რამდენიმე წელიწადში ასათიანის ქუჩას ძალიან დიდი დატვირთვა ექნება, ნიკეას ქუჩის დასაწყისში ორი დიდი კორპუსი შენდება, ასევე ტყავფეხსაცმელები, დომინოს მაღაზია, ეს დიდი კომპლექსი, ვიცი რომ სამკერვალოს ტერიტორიაზეც იგეგმება მშენებლობა, იქეთ ყოფილი ციხის ტერიტორია, მართალია ასათიანის ქუჩა თავში კი არის ფართო და თავის მხრივ დავალებაშიც აქვს ჩადებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მენაშენეს, მაგრამ პიკი საათებში დამერწმუნეთ ძალიან გადაიტვირთება ასათიანის და ტაბიძის ქუჩებიც, გენ გეგმის დამუშავებისას უნდა დაგვიხაზონ საგზაო ინფრასტრუქტურის სქემები ისე რომ ნათელი იყოს რა მიმართულებით უნდა იმოძრაონ ავტომანქანებმა, მარტო არქიტექტორის ჩართულობა ვერაფერს ვერ მოგვცემს ამ შემთხვევაში, ჩართული უნდა იყვნენ ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები, სპეციალისტები, დაგეგმარებული უნდა იყოს სრულყოფილად."

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „აქ საუბარი იყო რომ ნინოშვილის მე-17 ჩიხის უნდა გაიხსნას და გახდეს გამტარი, იქ მაცხოვრებლები თუ არიან ამაზე თანახმა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „ის იმიტომ არის ჩიხი, რომ გასასვლელი ეკუთვნის სახელმწიფოს, ალბათ სახელმწიფო გადმოგვცემს ჩვენ საკუთრებაში, ეს არ ხდება კერძო მესაკუთრის ხარჯზე, ქალაქის პრეროგატივაა გადაწყვეტილების მიღება ჩიხი გახდეს გზა."

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „რა ბედი ეწევა მწვანე ნარგავებს და საუკუნოვან ნაძვებს, იქ საკონსერვოსთან როდესაც ახლ მშენებლობა მიმდინარეობს და ერთი კორპუსი დასრულებულია კიდეც."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „თავის მიწის ნაკვეთში რაც არის ხე-ნარგავები, თუ წითელ წიგნში არაა შეტანილი, მერია და სახელმწიფო ვერ აუკრძალავს მოჭრას, რაც შეეხება იქ ხეების არსებობას მთავრობის N261 დადგენილებაში მითითებულია, რომ სამი მეტრი მინიმუმ უნდა იყოს საპროექტო შენობასა და ხესთან მიმართებაში მანძილი, ხოლო ბუჩქოვან მცენარეებთან დაკავშირებით 1,5 მეტრზეა საუბარი."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „საბოლოოდ რამდენ კოეფიციენტზეა საუბარი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „2,5-დან მერყეობს 4-მდე, სულ არის 16 ტერიტრია, ზოგან 8 სართულიანი იქნება, ზოგან 10-იანი, ზოგან 11-იანი და ა.შ."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თეიმურაზ ნადირაძე, გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-7 წევრი, თავი შეიკავა **გიორგი კილაძემ**) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის N96-სა (ნაკვეთებიN1, N2, N2-1-1-1-1, N2-1-2, N2-2, N3, N4, N4-1, N4-2) და ქალაქ ქუთაისში, ლ.ასათიანის ქუჩის N96-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი